ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №40

აბაშა, 2020 წელი 3 სექტემბერი

2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 45-ე მუხლის მე-6, მე-8, მე-9 პუნქტების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მუნიციპალიტეტის მერიამ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ხელი შეუწყოს საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, დაიცვას მათი უსაფრთხოება სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით.
2. მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების გასამართად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობები უსასყიდლოდ დაეთმოს №63 აბაშის საოლქო საარჩევნო კომისიას.
3. საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)) დაკავშირებით: გამოყოფილ იქნეს ქ. აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. №1-ში მდებარე ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრში" არსებული სააქტო დარბაზი;
4. საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციონირებისათვის განისაზღვროს უბნების მიხედვით შემდეგი შენობა-ნაგებობები:

ა) ქ. აბაშის №63-01 საარჩევნო უბანი – ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის" შენობა;
ბ) ნოღოხაშის №63-02 საარჩევნო უბანი – ნოღოხაშის საჯარო სკოლის შენობა;
გ) კვათანის №63-03 საარჩევნო უბანი – კვათანის საჯარო სკოლის შენობა;
დ) გეზათის №63-04 საარჩევნო უბანი – გეზათის საჯარო სკოლის შენობა;
ე) ზანათის №63-05 საარჩევნო უბანი – ზანათის საჯარო სკოლის შენობა;
ვ) კეთილარის №63-06 საარჩევნო უბანი – კეთილარის საჯარო სკოლის შენობა;
ზ) მარნის №63-07 საარჩევნო უბანი – მარნის საჯარო სკოლის შენობა;
თ) ნაესაკოვოს №63-08 საარჩევნო უბანი – ნაესაკოვოს საჯარო სკოლის შენობა;
ი) ნორიოს №63-09 საარჩევნო უბანი – ნორიოს საბავშვო ბაღის შენობა;
კ) ონტოფოს №10 საარჩევნო უბანი – ონტოფოს საჯარო სკოლის შენობა;
ლ) პირველი მაისის №63-11 საარჩევნო უბანი – პირველი მაისის საჯარო სკოლის შენობა;

მ) სამიქაო-მაიდნის №63-12 საარჩევნო უბანი – მაიდნის საჯარო სკოლის შენობა;
ნ) სეფიეთის №63-13 საარჩევნო უბანი – სეფიეთის კულტურის ცენტრის შენობა;
ო) სუჯუნის №63-14 საარჩევნო უბანი – სუჯუნის საჯარო სკოლის შენობა;
პ) ეწერის №63-15 საარჩევნო უბანი – ეწერის საჯარო სკოლის შენობა;
ჟ) ტყვირის №63-16 საარჩევნო უბანი – ტყვირის საჯარო სკოლის შენობა;
რ) ქოლობნის №63-17 საარჩევნო უბანი – ქოლობნის საჯარო სკოლის შენობა;
ს) ძველი აბაშის №63-18 საარჩევნო უბანი – ძველი აბაშის საჯარო სკოლის შენობა;
ტ) წყემის №63-19 საარჩევნო უბანი – წყემის საჯარო სკოლის შენობა;
უ) ნოღოხაშის №63-20 საარჩევნო უბანი –ქალაქ აბაშის №2 საჯარო სკოლის შენობა;
ფ) ქ. აბაშის №63-21 საარჩევნო უბანი – ქ. აბაშის №1 საჯარო სკოლის შენობა;
ქ) მაცხოვრისკარის №63-22 საარჩევნო უბანი – მაცხოვრისკარის საბავშვო ბაღის შენობა;
ღ) მარნის №63-23 საარჩევნო უბანი – მარნის საბავშვო ბაღის შენობა;
ყ) გაუწყინარის №63-24 საარჩევნო უბანი- გაუწყინარის საჯარო სკოლის შენობა.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. #247);
6. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი